კვირა, 26 ივლისი 1915 წ. ფასი 10 კაპ.



გერმანელი მასწავლებელი. ამბობენ ძველათ სედანთან გერმანელმა მასწავლებელმა გაიმარჯვაო.

დღეს კი ჩვენ ორივენი დავრჩით საჭირო. (რუსული ჟურნალიგან).

ბივშტექსი.

პატარაობიდანვე ისეთ წრეებში ვიზრდებოდი, რომ იმ თავითვე ჩანერგული მქონდა გულში:

— უპირველეს ყოვლისა მე მოქალაქე ვარ!

ეს რწმენა ისე ღრმა და ურყევი იყო, რომ არავითარ ძალას, არავითარ საბუთს, არც თუ უაღრეს მჭერმეტყველობას შეეძლო ოდნავათაც არის შეესუსტებია იგი ჩემ გულში.

როგორც ფანატიკოს ებრაელს ჰრწამს თავისი ერის სხვა ყველა ერებში ღვითასაგან რჩეულობა და ამ რწმენას ვერ ურყევს მის თანამოძმეთა ნიადაგ ტანჯვასა და დამცირებაში ყოფნა, ისე მეც: საზოგადოთ რუსეთისა და კერძოთ ჩემი ქვეყნის ცხოვრების ყოველდღიური ერთი მეორეზე ულმობელი და უსამართლო მაგალითები თითქოს არც კი ეხებოდა ჩემს ძვალ რბილში გამჯდარ შეგნებას და მე ამაყათ გავიძახოდი:

— უპირველეს ყოვლისა მე მოქალაქე ვარ!

ბევრჯერ შემთხვევია, რომ ჩემი მოქალაქობრივი სიამაყისა და თავმოყვარეობის შებღალვა და შეგინება მოუნდომებიათ, მაგრამ ყველა ამ შემთხვევის დროს ენერგიული და ძლიერი პროტესტითა და მოგერებით უვნებლივ დამიხსნია და გამომიტანია ჩემი საარსებო რწმენა თავისუფალ მოქალაქეობისა.

და, აჰა, რაც ამდენი ხნის განმავლობაში ვერ შეარყია ვერავითარმა განსაცდელმა, თვალის დახამხამებაში მოსპო და გაანიავა ერთმა გემრიელმა სუკის ბივშტექსმა.

რომ იცოდეთ, როგორ მიყვარდა წინათ სისხლშეუმშრალი, ერბოით გაჟღენთილი შებრაწულ კართოფილით ალყაშემორტყმული ბივშტექსი!

მაგრამ მას შემდეგ. რაც მან ჩემი საუკეთესო და უმკვიდრესი რწმენა წამართვა და დამაობლა, მე მძაგს და მეზიზღება იგი.

და ეს გრძნობა ბივშტექსისადმი ისევე ძლიერია ჩემს გულში, როგორც მოტყუებულ სატრფოს გულში მოღალატე მიჯნურისადმი...

—

ჯერ ერთი თვეც არ გასულა, რაც ეს ამბავი მოხდა.

საზაფხულოთ აგარაკ ბ—ში ვიყავი.

მთელ პირველ კვირას, დილიდან საღამომდე და საღამოდან დილამდე, კოკისპირულათ წვიმდა განუწყვეტლივ.

ვისაც აგარაკის აბეზარა წვიმა გამოუცდია, ის კარგათ მიხვდება ჩემს მდგომარეობას.

შავი, სქელი ღრუბლებით დაფარული ცა, გაწუწული ხეები და სახლები, გაუვალი ლაფი უდაბნო ქუჩაში და გულმოსაკლავი მარტოობა.

სულ ხუთიოდე მოაგარაკე ვიყავით და ერთმა ჩვენგანმა (მადლობა ღმერთს - მე არა!) თავი მოიკლა, ასე რომ ოთხიოდე დავრჩით.

თუმცა ამბობენ, უკურნებელი ჭლექიანი იყო და მისთვის მოისპო სიცოცხლეო, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, ცდებიან:

რომ ის საზიზღარი წვიმა არა—ასე ადვილათ თავს ვერ გამოიმეტებდა და დღესაც ცოცხალი იქნებოდა.

აცხონოს ღმერთმა, მაგრამ მისმა მაგალითმა კინაღამ მეც გამიტაცა და სიცოცხლეზე ხელი ამაღებინა.

ცა ისე იყო პირშეკრული და ისე დაბეჯითებით და აუჩქარებლათ უშენდა წვიმას, რომ იმედი გადავიწყვიტე: მეშვიდე დღეს, დაწოლისას სასთუმილს სავსე შუშა ნიშადურის სპირტი შემოვიდევი და ფიცი დავდე:

— თუ ხვალ დილითაც ასეთი წვიმიანი დღე გამითენდა, უნამუსო ვიყო თუ ის დღე დავიღამო და ეს შუშა არ დავცალო მეთქი.

მაგრამ ღმერთმა არ გასწირა კაცი ჩემგან განაწირი და მერვე დღე ისეთი გათენდა, რომ ერთ წუთში დამავიწყა განვლილი კვირა.

ბუნება ბროლივით ელვარებდა და ჯერ კიდევ წვიმა შეუმშრალი მიდამო ისე ბრწყინავდა მზის სხივებზე, რომ მე მაშინვე კეკლუც ბავშვს შევადარე, თმა ხუჭუჭა პატარა ბავშვს, რომელსაც—აი, სულ ერთი წუთიც არაა - ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა ფუნჩულა ლოყებზე, მაგრამ დიდამ ტკბილი კვერი ჩაუდო ხელში, ბავშმა უცებ გაიღიმა და ამ ღიმილმა მყისვე გააბრწყინა მთელი მისი მშვენიერი სახე და წამწამებზე დაკიდული ცრემლები...

მე დარწმუნებული ვარ, საბრალო მეხუთე მოაგარაკე ეხლა სასტიკათ ნანობდა თავის მოუფიქრებელ საქციელს და სიამოვნებით დაუბრუნდებოდა ყველა თვისი ბაცილებიანა სიცოცხლეს, მაგრამ ვაი—რომ თავის მოკვლა ბევრათ უფრო ადვილია, ვიდრე თავის გაცოცხლება!..

მე შვლის ნუკრს დავემსგავსე. მზემ აავსო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი არსება და, როგორც ორთქლმა მოსწყვიტოს ადგილს და გააქანოს ორთქლმავალი, ისე გამაქანა წინ, გაუმშრალ ფიქვის ტყეში.

ნაშუადღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომის ილიუსტრაცია

სანგრებში პატრონების გადაცემა.



გერმანელების იერიში მოწამლული გაზის შეხრჩობების შემდეგ.

დვილი სუკია! აღტაცებით წამოვიძახე მე, მაგრამ მსახური წასულიყო კიდეც.

დანა-ჩანგალი მოვიმარჯვე და ის იყო უნდა გამეჭრა შუაზე ბივშტექსი, რომ ხელში ვიღაც მეცა.

— უკაცრავად ბატონო: ეგ თქვენი ბივშტექსი არ ყოფილა!

როგორ გაბედა არამზადა მსახურმა ასე უდიერი მოპყრობა? სისხლი ყელში მომაწვა და ზეზე წამოვარდი.

— როგორ თუ ჩემი არ ყოფილა? როგორ ბედავ შე...

ალბათ საზარელი სახე მქონდა, რადგან მსახური კალიასავით გადახტა განზე და შეშინებული ღიმილით ჩამჩურჩულა.

— ეს ბატონ პრისტავისა გახლავთ, თქვენ ახლავე მოგართმევთ, ბატონო!

— გასწი, დაიკარგე, შე არამზადავ!

მსახური გაჭრა.

ცოტა რომ დავშოშინდი და გაცოცხლდა, ადვილად მივხვდი საქმის გარე მოება: ეს სუკის ბივშტექსი საგანგებოთ გაუკეთებიათ. „ბატონ პრისტავისთვის“, მაგრამ არევითა და შეცდომით ჩემთვის მოუტანიათ. მგონი, ბოქაულმაც აილო ეჭვი საქმის ნამდვილი ვითარებისა, რადგან მალ-მალ იცქირებოდა ჩემი ბივშტექსისაკენ და ყოველ ლუკმას თვალს აყოლებდა.

— ეი! — ვეღარ მოითმინა მან: ბიჭო რა ლმერთი გიწყრებათ? როდემდის უნდა გაცადოთ აქ?

მსახურმა დარცხვენითა და შიშით გამოიტანა ჯორის ნალის ტოლა გარუჯული ხორცის ნაჭერი და სუფრაზე დაუდო.

— ჩემი ბივშტექსი!

მაშინვე ვიცანი და სიცილი წამსკდა.

ბოქაულმა ჯერ ბივშტექსს შეხედა, მერე მე, შემდეგ კიდევ ბივშტექსს და კიდევ მე, ბოლოს მსახურისკენ მიბრუნდა, თვალები საშინლათ დაუბრიალა და დაოყვირა:

— ეგ არის, შე მამა...., სუკის ბივშტექსი?

— არა, ბატონო.. სუკის... სუკის ბივშტექსი...

— ჰო, სუკის ბივშტექსი! სად არის სუკის ბივშტექსი?

— სუკის ბივშტექსი იქ გახლავთ, ბატონო!

და ჩემი ბივშტექსი ანიშნა.



პერემიშლის ბატარეა.

ველარ მოვითმინე. თავის შეკავება ყოველივე ღონეს ალემატებოდა და გიჟივით ხარხარი დავიწყე.

მაშინ ბოქაული ადგა, ჩქარი ნაბიჯით მოვიდა ჩემს სუფრასთან და ისე ძლიერათ დაჭკრა ხელი მაგიდას, რომ ჩემი სუკის ბიშტექსი ახტა და იატაკზე დავარდა ხოლო მე ზეზე წამოვარდი.

— თქვენ... რას ხარხარებთ ყმაწვილო კაცო!

ეს სიტყვები ისეთი ბრაზით წარმოსთქვა, რომ გეგონებოდა იხრჩობაო.

— მე დამცინით, განა? დაუმატა მან.

— არა, მე თქვენ კი არ დაგცინით, მე მსახურის შეცდომა მაცინებს. ვუპასუხე მე.

— თქვენ... მაგ სიცილს... ინანებთ!

— სრულიადაც არ ვინანებ. მე თავისუფალი მოქალაქე ვარ და სრული ნება მაქვს გავიცინო, თუ რამე სასაცილოთ მომაჩნია.

— რაო? თავისუფალი მოქალაქეო! მე თქვენ... გაჩვენებთ!.. როგორ ბედავთ თქვენ მთავრობის დაცინვას და ისიც მაშინ, როდესაც მთავრობა სამსახურის მოვალეობას ასრულებს?..თქვენი გვარი?

— თქვენ არავითარი უფლება არა გაქვთ...

— რაო, რაო?

— მე კარგათ მესმის მთავრობისა და კანონიერების ძნიშნელობა... კანონი იგივეა ჩვენთვის, რაც კალაპოტი მდინარ...

— თქვენ გესმით თუ არა? კანონის სახელით მოვითხოვ, დაუყოვნებლივ თქვენი ვინაობა მითხრათ!

— მე ჟურნალისტი გახლავარ... და კარგათ მესმის... კანონი ის კალაპოტია, რომელიც...

— თავი დაანებეთ მაგ ყბედობას და თქვენი პასპორტი მიბოძეთ!

— მე კალაპოტი, რომელიც კანონს...

— მომცემთ თუ არა თქვენ პასპორტს?

— ნება მიბოძეთ... თქვენ თითონ არღვევთ იმ კალაპოტს, რომელიც... კანონმა ე. ი. კალაპოტმა...

— მაშ თქვენ პასპორტი არა გაქვთ!.. კეთილი! მე თქვენ გაპატიმრებთ კანონის ძალით!

— კანონის კალაპოტი...ვი კარგათ მესმის... მე თავისუფალი მოქალაქე... თუ ბიშტექსის სუკი ე. ი. სუკის ბიშტექსი...

— Городовой!

დასწყევლოს ღმერთმა! ეხლაც ვერ მომისაზრებია, საიდან გაჩნდა ისე უცბათ „გარადავოი“.

— Городовой! წაიყვანე ეს ვაებატონი „კალაპოტში“ ე. ი. სპოლიციო სახლში და ჩემ განკარგულებამდე გყავდეს... თვალი მაგრათ გეჭიროს: უპასპორტო ვიგინდარაა!

— როგორ თუ... – დავიწყე მე, მაგრამ უცებ ქუჩაში გავჩნდი.

არ გეგონოსთ, გადავფრენილიყო ქუჩაში! განა ასე სწრაფათ გადაფრენა შეიძლება?

თურმე სად გოროდოვოის მუჯლუჯუნი მხრებში და სად ფრთები!

რამდენიმე წუთში „კალაპოტში“ ვიჯექი და „განკარგულებას“ ველოდი.

მხოლოდ გუშინ გამოვედი „კალაპოტიდან“, მაგრამ ეჰ! ეხლა:

— უპირველეს ყოვლისა მე მოქალაქე არა ვარ!

თაგუნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შარადა

ზაფხული არის, ბული დგას.
კოლოც ჰიმნს თვისას აქუხებს,
ხან უკბენს ვისმე, ხან კიდევ
მარტო ბზუილით აწუხებს
და თუმცა შარადებისთვის
მას აღარ მოეცალება,
(მოსწყინდა რითმებისათვის
ამდენი ტანჯვა წვალება),
მაგრამ რას იზამ, მკითხველი
მას ულირს უფრო ძვირადა
და აი კიდევ ჩამოჯდა
იგი მაგიდის პირადა.

—

იპოვეთ იგი ცხოველი,
ვის ზურგზე ჯამი ახურავს,
ვინც ხმელეთზედა „ნავარდობს",
წყალშიც თამამად დაცურავს.
ორი ასოსგან შესდგება
იმისი მოკლე სახელი
მაშ დამიწერეთ უკულმა
ვინაც ბრძანდებით მნახველი.

—

აწ ნახეთ მოკლე თქმულება
ხალხისგან ანაშენები,
მისივე ფილოსოფია,
მისივე დამამშვენები...
შემეცნებაა ზოგადი
იმ თქმულებათა წოდება,
(ვინაც ვერ მიხვდა, მე იგი
გულწრფელად შემეცოდება)
სამი მარცვალი უბია
იმ სიტყვას სანაქებოსა,
მაგრამ უკანა არ გვინდა
კვლავ გაჰყვეს, აეწებოსა.

—

სადურგლო იარაღებში
ის ენა მჭრელი ხშირია,
მაგრამ ჩვენ მისგან მარტოკა
პირველი კბილი გვჭირია.

—

ახლა გთხოვთ ქალი მიპოვოთ
ვინაც მამრისგან შობილა
(რამეთუ, იმ დროს, სხვაგვარი
კაცის გაჩენა ყოფილა).
ცხოვრობდა ტურფა წალკოტში,
სად გველიც შემოეფარა,
და იმა გველის ცდუნებით
მებაღეს ვაშლი მოჰპარა.

—

გათავდა საძიებელი.
შარადა უკვე აეგო...
ვინც იმას მიზნათ ისახავს
იმისი საქმე წაეგო.

კოლო.

სიმინდის დარიგება.

(დანჩხუთიდან)

საშინელი წელიწადი დაგვიდგა. უბედურებაა აბა რაი, აგერ ჩაოგვიწვა შიმშილი და დიდი და პატარა ჭირიან ქათამსავით დაბარბაცობენ, მთქნარებამ ყბაის ძვალები ყველას დუუღალა და არაქათი გამოულია. ნასწავლებს რომ ვკითხე, ჩხუბი აწი იქნება, აქამდე რა იყოვო მითხრა. რაც აქამდე ჩემმა ყურმა გეიგონა იმის უარეს თუ გევიგონებ ქვეყანა დეიქცევა და იგია. ქე ეწერა მაქსიმელ ხუცის წიგნში 1914 და 1915 წლები უბედურია, ხალხი გეიჟლიტება და ვინც გადარჩეს მაჭახელაის სროლით ულოცავდენ ერთმანეთსო, მარა რავა მეგონა.

იპრიანა ბედმა და გუშხამ ყანიდან რომ ამოვედი ჩემმა ქალმა ფატმანემ მახარა:—გავკეთდით კაცი, დღეს ნაცვალმა დეიძახა: ხვალ ჯუმათის სტანციაში სიმინდს არიგებენ და დოტილაი ჩამევიდესო. იმ ღამეს სიზმარში თლათ მაღლა მაღლა დავფრინავდი. გათენებამდი ვფხიკე ქაჯვარაის კატრიდან, შვიდი ვერსი გზაი, მზის ამოსვლამდი ჩევირბინე კანცელარიაზე. ღმერთი ფშვინვას და უბედურებას არ გამოულევს, ვინც ჩვენი კანცელარია იქინეი პალიასტომის პირზე ჩეიტანა. იქინეი რიონობაზე კობრიზა რომ წევიდოდი საგზალი მიმქონდა, აბა რა საკანცელარიო ადგილია იმ ტალახში? რავარცხა მეღირსა, ჩიველი. შევხედე, რას შეხედავ, მუუყრია თავი ამ მშიერ ხალხს. ერთი მაგრათ რომ დააქსიტო ათი წეიქცევა მიწაზე. უყურებენ როდის დაგვირიგებენ სიმინდსო. აგერ გამობრძანდა ჩვენი სასახელოთ ამორჩეული გირგოლ მამასახლისი და გამუაცხადა:

— სიმინდი ფულათ მევიდა მარა ის მიიღებს, ვინც მეტი გაჭივრებულიაო. წეიკითხეს სია. მეც

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი ვერიე შით, მარა მკვდრებში გარევა ჯობდა ამას. მომიწია ოჩერეზი, შევედი. დიმიტრი მწერალმა წამიკითხა.

— დოტელა, შენზე მოვიდა ოცდა ათი მანეთი, მარა ხომ იცი ექვსი მანეთი წროუნდელი გადასახადი გაქ, ცამეტი აბაზი იდოიმკა, ორი აბაზი მონატანი ჩვენ გვინდა, აგერ ივანე ვაჭარის ნისია გქონებია თორმეტი მანათი, ამას გარდა გერგება ცხრაი მანათი მოაწერე ხელი და წეიღე.

— რაზე მუაწერო ხელი ძმავ, თქვენი ჯიბის გაფსებაზე? რავა, აგი ფული მე მასესხეს თუ თქვენ გამოგიგზავნეს დოტილაი მოწამეთ დეისარი და გეიყევითო? მე რას მიბარებდით აქანაი. მე თუ ვინმეის ვალი მაქვს აპეკუნი რათ მინდა მე ვერ მივსცემ მეთქინ, დივემშვიდობე და გამოვხტი გარეთ. მამასახლისმა მითხრა:

— დოტილავ, ამხელა მუცელი რომ მაქვს მე ჭამა არ მინდა და ბატონი დიმიტრი კიდევ უცხო ნაპატივები კაცია.

— მე რას ვეძებ თქვენს დიდ მუცელს? ცხელი ნაცარი, წინ წყალი, უკან მეწყერი მეთქი.

ასე დარიგდა სიმინდი ჩვენში.

ბევრი სეირი შემომესრა და კიდეც შემომესრება. ანანიეი და მარკოზიც კი აშენებდენ ჩვენით კოშკს, მარა ბრანწი, გუუშპა ფეხი მგონია მუუქირეს საყლაპავში. თქვენც მალე გნახავ ქეჩხოს მაარევდეთ მუხის ღელეში. ა დათვი და ა კვალი.

ლახვარი.

მიწის ძვრა.

(სიზმარი სოხუმელისა)

სიზმრათა ვნახე ქალაქი,
რომლის აღწერაც მწყურია,
სახელად ერქვა „ტლოპეთი“
ძველს დროში—დიასკურია.
ბუნების სიმშვენიერით
სწორეთ ედემის დარია:
აქვს ხმელეთიდან რკინის გზა,
ზღვაში ნავთსაყუდარია.
გზა ესე ძველის ძველია,
თუმც ჯერაც აუგებელი,
ამა ქვეყნისა მკვიდრთათვის
აქ რაა გაუგებელი?!.
და მისი ნავთსაყუდარიც
უკვე ბუხტია ცნობილი,
ჭალარა ძველის ძველობით,
თუმც არც კი არის შობილი.
ქალაქი ამწვანებული
საუცხოვოა ჰავითა,
ლაფში ჩაფლული ფეხებით,
ცამდი აწვდილი თავითა.
თავი მას ება ბევრგვარი:
თავი ბუნებრივ ციური,
თავი ქალაქის, თავი ცხვრის
და თავიც პოლიციური.
და თავთა ესდენთ პატრონსა
დიდი შეშვენის გონება,
აურაცხელი სიმდიდრე
და უთვალავი ქონება.
მხოლოთ მასთანვე დიდ თავებს
დიდიცა შვენის მუცელი,
ქალაქის დიდი ქონების
გასადნობ—გასაქუცველი.
და ბედიც დღემდი ამ ქალაქს
ამ მხრით სწყალობდა დიდათა
მუცელი ჰქონდა სულ სავსე,
თავი განძთ განარიდათა.
მთელი ქალაქი კი ჰგავდა
კამეჩს ტალახში მწოლარეს,
ცოხნაში გალაღებულსა,
ზარმაცად მთვლიმავს, მცონარეს..
და ერთ დღეს... მოხდა „მიწისძვრა“!
თითქოს არისო მესსინა:
უფსკრულმა შთანთქა კამეჩი,
რომელსაც ლაფში ეძინა.
და იმ არსების ადგილზე
დღეს სულ სხვა მოსჩანს ცხოველი,
ლამაზათ გაიყურება,
იმედის სხივთა მთოველი!..
არ ვიცი, ამას რა მოჰყვა,
რაც რომ მესიზმრა ძილშია!
ძილი კი იმან გამიფრთხო,
მატლი რომ მეჯდა კბილშია!..

ონისიმე.



დიდუბის ქართული პანთეონი (წინა მხარე).

გეგმა ქართული პანთეონისა წარდგენილი მხატვარი ჭიაურელის მიერ ᲥᲐᲜ-ᲨᲘᲜ-ᲬᲘᲚ-ᲙᲐᲜ-ᲒᲐᲜ საზოგადოების მთავარი გამგეობის წინაშე დასაწუნებლათ

დიდუბის ქართული პანთეონი (უკანა მხარე).



გეგმა ქართული პანთეონისა წარდგენილი მხატვარი ჭიაურელის მიერ ქან-შინ-წილ-კან-გან საზოგადოების მთავარი გამგეობის წინაშე დასაწუნებლად.

როდის შევიტყვე, რომ პოეტი ვარ.

ყოველივე მოდას, დიდი სიხალისით ვეგებებით და გაუსინჯავათ ვღებულობთ.

რატომ?!

იმიტომ, რომ ის მოდაა.

აგერ ამხელა კაცი გავიზარდე და ფიქრათაც არ მომსვლია პოეტობა და ლექსების წერა, მაგრამ რას იზამ, მოდა მოვიდა.

ყველაფერს თავის მიზეზი აქვს; რაც უნდა ჩაიდინოს ამ დროში კაცმა პოეტობის გულისთვის, ეპატიება. რატომ?!. მიტომ რომ დამნაშავე ცხოვრებაა... თუ პოეტი არ ხარ დღეს არ გარგია... ერთი სიტყვით უნდა ეცადოს ყოველი პროფესიის კაცი, როგორმე პოეტი გახდეს...

ამისთვის მას ყოველივე ცოდვის ჩადენას ვაპატივებ.

ვაპატივებ ბატონ მ. ანაშვილს, (იგივე მ. ღვამიჩავას, პოეტობაში ასედაც იცნობენ) როდესაც ს. აბაშელის სონეტს რომელიც ასე იწყება:

„მე თვალს გარიდებ, შენ რათ ეძებ ჩემ თანაგრძნობას?
არა მსურს ვნახო შენს ტუჩებზე ღიმილის ვარდი,
ვიცი ვერ დავძლევ ცეცხლად ნაფეთქს საშიშარ გრძნობას,
ვიცი დაგკარგავ, სულის ვარსკვლავო თუ შემიყვარდი..
გრძნობის უფსკრული ცეცხლის ზღვაა ბნელით მოცული;
მის მწველ ღიმილში სძინავს დემონს, რღვევის ანგელოსს, და სხ."

ახლა იხ. ჟურ. „ლახტი" № 7. 1914 წ. მ. ღვამიჩავასი.

„მე შენ არ გიცქერ; თვალს გარიდებ, არ მსურს გიყურო,
არ მსურს ვიხილო შენ ტუჩებზე ღიმილის ვარდი;
ვგრძნობ რომ დავიხშობ სამუდამოთ დროს ცხოვრებისას,
თუ კი მაცთურო ერთხელ გნახე, და შემიყვარდი...
შენს მწველ ღიმილში, სძინავს დემონს, რღვევის ანგელოზს, და სხ."

გნებავთ და იხილეთ „ახალი ჩანგი" (გამოცემა 1910 წ. გვერდი 305) ლექსი შანშიაშვილისა. შემდეგ გაზ. „იმერეთი" № 58 1914 წ. ლექსი მ. ანაშვილისა, „მთის ნიავს" და თქვენ დარწმუნდებით, რომ ბ. მ. ანაშვილმა ისეთი მიმბაძველობა გამოიჩინა, რომელსაც ორიგინალიდან ვერაფრით ვერ გაარჩევ და ამიტომაც მოიხვეჭა სახელი.

აი, მაგალითად დამსახურებული, ნიჭიერი, მსახიობ-რეჟისორი—ვ. შალიკაშვილი, შეხედეთ გაზ. „სამშობლოს" ფურცლებზე, როგორ ღირსეულად ამკობს თანამედროვე მგოსნებს: „ახლანდელი მგოსნების მუზა, კოჭლი, ბრუტიანი, მელოტი და კუზიანი, ერთი სიტყვით, ქუთაისის ქუჩებში, რომ გიჟი მაშიკო დადის იმასა გავს"-ო. ამავე დროს მგოსან მ. ანაშვილს ასე მიმართავს: „შენ მგოსანი ხარ, ციური ნიჭით დაჯილდოებული, მაგრამ გახსოვდეს: მგოსანს თანა სდევს გზა ეკლიანი, იესოსებური ტანჯვა, წამება, მაგრამ არ შედრკე, დაე, იყავ ზვარაკი სამშობლო ქვეყნის; სიკვდილის შემდეგ მადლიერი შენი ერი, გულს დაგისვენებს სალოცავ ხატათ"-ო.

არ ვიცი რა მეთქმის! უსათუოდ შალიკაშვილის სიტყვით ჩვენს ქვეყანას დამხობა მოელის. მაგრამ მე ვფიქრობ, ხუთი ნესვის დაჭერა ერთ ხელში არ შეიძლება, და ამიტომაც აცილდა ბ. ვ. შალიკაშვილი ქარავანს.

მაგრამ მე ყველას ვაპატივებ, ასეთ მოქმედებას ცოდვად არ ვთვლი, ვინაიდან: დამნაშავე ცხოვრებაა...

ჰო და ასე, სწორედ ამ მოდამ ამატორღიალა და დავიწყე კალმის ვარჯიშობა; ხან რას ვწერდი, და ხან რას: ბულბულს ვარდზე ვაშიჯნურებდი, სოსანს ზამბახზე, სპილოს აქლემზე, სირაქლემას ინდაურზე და სხვა და სხვა. ბოლოს იმდენათ გავთამამდი, რომ თავი ეროვნულ მგოსნად დავსახე და ასეთი შინაარსის ლექსი დავწერე:

„ლექსის წერა, ლომის ჭამა,
დღეს ჩემთვისა სულ ერთია;
გადავწყვიტე აწ რომ გავხთე,
საქართველოს პოეტია"... და სხვა.

ავდექ და სხვა ლექსებთან ერთად რედაქციაში გაუძახე. მაგრამ იმისთანა თქვენს მტერს, მე ფოსტა დამიწერეს: „გირჩევთ ლომის ჭამას დაეძალეთო".

გული მომიკვდა.. დავლონდი. მაგრამ რას იზამ! დიდია მოდის ძალა, გული არ გავიტეხე, ვიფიქრე ეს ვიღაცა არის „კილაოზნი" რედაქცია ყოფილა, მოდი, ახლა სხვას გავუგზავნი თქვა. ერთი პესიმისტური ლექსი დავსწერე, რომელიც ასე თავდებოდა:

„დღეს რაღა ვართ? გაქლექილი,
ყველა მუნჯი, ყველა უტყვი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი ჩვენი რაღათ გვღირს,
როდესაც ჩვენ ვართ პირუტყვი?."

აქ კიდევ უარესი დამიწერეს ფოსტაში: „მერე პირუტყვები არ გეცოდებათ თავს, რომ ადარებთო". გადავწყვიტე ჩემს სიცოცხლეში არ გამეგზავნა ლექსი რედაქციაში.

ამ ხანებში, თბილისში ივ. როსტომაშვილმა 2 კაპეიკიანი გაზ. „სინათლე" გამოსცა და აცხადებდა: „ვისაც რამე აქვს დასაბეჭდი ჩემ გაზეთში, სტრიქონზე ორი კაპეიკი გამოგზავნოსო. ვიფიქრე მოდი ამასაც ვსინჯავ, ფულს გაუგზავნი და როგორ არ დამიბეჭდავს მეთქი, მაგრამ რა ბრძანებაა. იმან გაუჩინა ჩემ ჯიბეს ფაღარათი. რამდენ ლექსს დავწერდი, დავითვლიდი სტრიქონებს, ვიანგარიშებდი, და იმდენ ორი კაპიკის მარკას ჩაუძახებდი კონვერტში, და ვგზავნიდი. ვგზავნიდი და არ იბეჭდებოდა, ვგზავნიდი და არაფერი ამბავი მესმოდა.

ასე რომ, ბოლოს, რომ ვიანგარიშე 49 მან. 7 კაპ.*) სულ ტყვილა დამეკარგა.

გავიდა მას აქეთ დრო და ხანი, და შემთხვევით ერთ რედაქტორს გავეცანი. მივიწვიე ერთ „რესტორანში", და იმდენი ვაქციფე, რომ სიმთვრალით ტუჩებში მოკენდა. მოკეხსენებათ ძალა ჰურმარილისა. ამის შემდეგ ერთმა შემთხვევამ მასალა მომცა ლექსი დამეწერა და დავწერე.

მოვაგონებთ!..

(ვუძღვნი რეკეკე-როკოკოს)

უთქვამთ: სიმართლის მთქმელს,
კარგი ჭუნე ჭყავდეს,
როცა რამეს იტყვის,
უნდა მიროკავდეს...
მეც ასე მომიხდა:
(გასაქცევათ ვაი,
რომ არ მყავდა ჭუნე,
და არცა ტრამვაი).
ქუთაისის სცენას,
ვით ახალი სოკო,
მოვეელინე ერთხელ,
„რეკეკე როკოკო",
და, ვინც ჩემ სიაში
იყო ვინმე ბრუნდი,
ყველას გადუჭირე
მათრახისა კუდი.

-- ვიდრე ფეხს გავდგამდი,
კულისებისკენა;
ბევრმა განიზრახა
ბრაზით ჩემი კბენა.
მუშტებით, და წიხლით,
მოაგდეს ერიში;
(განათლებას ადრე
მისცეს ანგარიში).
ქუდს ხელი ვიტაცე,
მოვტრიალდი მალე,
ღამის მდუმარ ფრთებში,
უცფათ დავიმალე.
— ახლა განცხადება,
დავიკერე გულზე.
(მოწამეა ესა,
წარსულ სინანულზე).
როცა არ მყავს ცხენი,
გვერდით მოკაზმული,
რასაც რამეს ვიტყვი,
სულ იქნება ტყული.
ტყული სახუმარო
არ არის საწყენი.
თუ მსურს სიმართლის თქმა
მეყოლება ცხენი.

მოვაწერე ქვეშ „ერეკლე" და მიუტანე ჩემ ნაცნობ რედაქტორს. ლექსი დაიბეჭდა, ჩემ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ქუჩაში რომ გავდიოდი თავი მაუბაყ მდევი მეგონა, ვაკლახად გვერდზედ არ მივიხედავდი. როცა ჩემზე რამეს ლაპარაკობდენ ტუჩებზე ღიმი მიქროდა, საზოგადოებაში რომ ჩავდგებოდი, თავი საზოგადო მოღვაწე მეგონა, და ცხვირი მაღლა მიმქონდა; ქალიშვილებში, რომ გავიარ დი გულში ჩიტი მიფრენდა. როცა ისინი წითელ ვარდებს შემომთავაზებდენ, ჩემი გული პოეზიით ივსებოდა. აი, ამ დღეს აღდგა მკვდრეთით ჩემი დამსხვრეული იდეალები.

რეკეკე როკოკო.



*) ცხადია ერთ სტრიქონში სამი კაპიკი აუღია ბატონ რედაქტორს, ვინაიდან 7 კაპ. წყვილათ არ იყოფა.

ეშმაკი.

ყუმბარების საწყობი.

დიდი ზარბაზნის ყუმბარა „ჩემოდანად“ წოდებული

დ. ხ ო ნ ი.

(დგინის „ფაფლსოფიკაციის“ კამი)

სჩანს აგრე სურდა ბუნებას,
ჩვენი ღიბალის ბრუნება,
ერთის ათასზე მუხრუჭათ
დაჭერა,—დაძაბუნება.
დრო გადის საუკუნითა
და მისი შავი გუნება,
ერთხელაც არ შეიცვალა
და ძველს კერპს ელამუნება.

—

არაყი ღვინოს შეება,
ეს ყველამ იცის მგონია;
ღვინომ დასძლია, მოიგო
ეს გადამწყვეტი ომია.
ღვინოს, სინათლე ეღირსა
არაყს, მოედო ობია,
თვით უკეთ იცით ამ ორში,
ჩვენთვის რომელი სჯობია.
და აი ღვინოს დასჭირდა
დამცველი იგივ პატრონი,
რომ წმინდათ დარჩეს, ასცილდეს
წამალი ვაჭრის ნასროლი.
კაცი შეიქნა საჭირო,
ჭკვიანი, თან მოსაწონი,
რომ წუნი ვერვის დაედო,—
„დრახმებში“ გამონაწონი.
ეძებეს... დიდხანს ეძებეს,
შეინძრა თითქმის ხონია,
მაგრამ ამბობენ: ასეთი
აქ არვინ გაგვიგონია.
დაბოლოს, თურმე ნუ იტყვით,
უსაფუძლოა შინება,
და ჩვენსა უომედობას
მიეცა აღმა ვლინება:
გვერდში ნავაპრა „აპტეკის“,—
სოფელ კუხს დანაბინება,
რომ „მძიმე“ გამოსულიყო,
ამისთვის არ ნამხილება,
და ალბათ ისიც იცოდა,
რომ არვინ შენაცილება,
თორემ ათას და რვასით
ცხრა მთასა გადაფრინდება!..

—

ახლა ვიკითხოთ ვინ არის,
რომ ჩვენი დაცვა ინება?
—ჭიათურაში ნამყოფსა,
ვირთხასაც ეცოდინება!
კოწია ჰქვია სახელათ
უყვარდა მუშათ გინება,
ხშირათ პანასე—ვოტრენსა
მისს კლავზე დანაძინება.
და მისივ დახმარებითა,
უცდიათ გამოძვრინება.
ცამ პირი უხსნა ბოლო დროს
რაკი უფალმან ინება:
ქათამმა, კვერცხმა და ფქვილმა
მუნითგან იწყო დინება
და ვინც ამ საკურთხს ვარს ყოფდა
ესხმოდა რისხვა, წყინება!
შემწირველს კოწიასგან
უხვ კალთის ჰქონდა ფინება.
გაუგეს „მავნე“ პირებმა
და კოწოც აიხირება,
—მედიატორეთ მოითხოვს,
აბა რად გაეწბილება!
მუხაძე თავმჯდომარეა,
რომ არ დაეწყო გინება,
ვარაზაშვილი მისგანა
„ტრეტიანთ“ შეეხირება
იონა „მავნეთ“ ეკუთვნის,

ამას არ უნდა ცილება,
ყველა ამ სამთა ცრემლები,
გარჩევას დაეტირება...
განაჩენის დროს ვარაზა—
შვილი კოწოსკენ იხრება,
ხელს არ მოუწერს, გაურბის,
სიმართლის შეერცხვინება;
იონას, ხირურგ მუხაძეს
გამოაქვთ რა განჩინება,
ორთავეს ხელ მოწერილი,
პანასეს წარედგინება.
პანასე ამაგს ივიწყებს
და სწრაფათ განეცილება.
ვაი, რა დიდი „მუშაკი“
რა პაწათ შეიწირება!?.

—

დღეს ღვინის გამყალბებელთა
მომსპობათ მოგვევლინება,—
„ეშმაკო“, ეჭვი რად შეგაქვს?
„ტარტაროზს“ რად ეცინება?
თუ ქათამ-კვერცხის საქმეში
ყოფნიდა მას მოთმინება,
რა დიდი ხათაბელაა,
დღეს ქანქარ ჩარიხინება?!.

ს—ნა.

გამოფენა თელავში.

ივლისის 49-ში თელავის სამმართველოს ინიციატორობით მსოფლიო გამოფენა მოხდება. გამოფენაზე ბევრი ახალი ღირს შესანიშნავი ნაწარმოები და გამოგონებანი იქნება. გამოფენა „მოლებნით“ დაიწყება. მოლებნას გადიხდიან ხოლეროზის წელს გადაცვლილი მღვდლები და ტერტერები.

ქალაქის ბაღში გამოიფინება ადგილობრივი ჯიშის ღორები და ძაღლები.

სხვათა შორის გალავა საკუთარი ცდის გადა-გადაგვარებულ ღორებს გამოჰფენს ბაღში. ღორები მთლათ ტალახით იქნებიან გასვრილნი ანტისანიტარიის ხელშესაწყობათ.

გასპარ ოსეფოვი, თელავის ფოდრაჩიკი, გამოიტანს ქიმიურათ შეერთებულს ფქვილს და ლამს. (ორი წილი ლამია ერთი ფქვილი). და ობიანს სიმინდს.

გიორგი ახალქალაქელოვის წინამძღოლობით თელავის მეთევზეები გამოიტანენ აყროლებულ ყოველნაირ თევზს, რომელსაც გამოფენის შემდეგ ომში გაგზავნიან მხრჩობელ გაზების მაგივრათ, ოსმალების წინააღმდეგ.

[illegible] ბრიგაია მებუკე გამოჰფენს თავის ნაწარმოებს. სხვათა შორის ქიმიურად შეერთებულ მაწონს და წყალს. (ერთი წილი რძე 9 წილი წყალი).

კოტე გაბელოვის წინამძღოლობით ვაჭრები გამოიტანენ ძვირფასს, ფუთს ოთხ თუმნიანს შაბიამანს და გოგირდს.

ყასბები გამოიყვანენ ტუბერკულიოზიან ძროხებს, რომლებსაც მუშტრებზედ გაჰყიდიან.

ჯიმჯიმა მეთოფე—თავის გამოგონილ დამბაჩებს და იარაღს, რომელიც არყით და ღვინით იტენება და ვარდება.

გიორგი მესაათე გამოიტანს ახლათ გამოგონილ საათს, რომელსაც მომართვა თავის დღეში არ სჭირდება.

ნერსესა აჯიმამუდოვის მეთაურობით გამოიფინება ღვინო ქიმიურათ შეერთებული წყალთან.

ხინკლეულობის პიონერი, ვასო თუმანიშვილი გამოჰფენს ბევრ ახალ ნაწარმოებს. სხვათა შორის ორმოცდა ათს ერთ შაურიან ხინკალს, შიგ ხორცის მაგივრად გერმანიიდან გამოწერილი აზოტი იქნება.

„პარტნოი“ მალამალა გამოიტანს კასტიუმს ნახევარ საათის განმავლობაში მომზადებულს.

ვიკტორა მეწაღე გამოჰფენს უპადოშო ფეხსაცმელს ორ წუთში შეკერილს.

ეფრემ დერციკის მეთაურობით გამოიფინება შეკერილი ძველეულობა, რომელსაც შემდეგ ომისთვის გაჰგზავნიან.

იაგორ დურხუთაშვილის მეთაურობით გამოიფინება სირინოზის ხმიანი გრამაფონები, მანდალინები და გიტარები.

კოჭლები გამოჰფენენ პეპელებისა და მატლების მწნილს.

კონაშვილები—მშვენივრად დამპალ ხილს.

მელიმონათეები—ქვიშით დატკბობილ ძველ ესენციით შემკულ ლიმონათს. და ბევრი სხვა და სხვა გამოფენა იქნება.

გამოფენის შემდეგ დამსწრე საზოგადოებას რამდენიმე ცდას აჩვენებენ: ზოგიერთი კლუბისტები კარტის თამაშს მუშტი კრივთან შეერთებულს ფიზიკურათ, ბულვარდისტკები ახალ სისტემის ვოზდუშნი პოცელუის და ანტიინტერნაციონალურ ლაპარაკს.

ლოთიფოთი.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

ველისციხე. ადგილობრივმა კლუბისტებმა გადასწყვიტეს წარმოადგინონ ქართულ ენაზე „რევიზორი“. მზადება უკვე დაიწყო. ხალხი იჩქარის ბილეთების შეძენას, რადგანაც წარმოდგენა შეიძლება ამ წლის დამლევისათვის მოესწროს. წმინდა შემოსავალი გადადებულია ბილიარდის განსაახლებლად.

მეხი.

ხორაგოული. 28 ივნისს წარმოადგის „ცხოვრება ბრძოლაა“. გარდა სცენის მოყვარეთა ყველას ეძინა. ხალხი ნაშუადღევის სამ საათზე გამოაღვიძეს.

მეხის მოწინააღმდეგე.

ერკეთი. სამკითხველოს გამგეობა გაეფიცა საზოგადოებას და მოთხოვნილებანი წამოუყენა:

1. ძილის თავისუფლება.
2. მკითხველთაგან გაზეთების ხელშეუხებლობა.
3. თუ საჭირო იქნება სამკითხველოს ფურნეთ გადაკეთება.

რისხვა.

ობჩა. მამა ამბაკოს მკვდრები აუჯანყდენ.

ადგილობრივ მეაფთიაქეს ქურში ფეხი ჩაუცდა და კინაღამ ხიფათს გადაეყარა

ტყუპ.

ტობანიერი. ჯიხაიშიდან კვლავ დაგვიბრუნდა ჩვენი „ძვირფასი“ მწერალი ბენედიქტე. კაცი ფულით არ დაფასდება, თორემ საზოგადოება ფულებს არ დაზოგავდა.

იქიდანვე. რადგანაც ძველ დეპუტატებს ბაზრის ფული ბევრი ვერ შეეჭამათ, საზოგადოებამ ისინი გადააყენა და დანიშნა ბ-ნი ბენედიქტე.

სანკანიძე.

ჭაგანი. გამოვიდა პირველი ნომერი ყოველდღიური გაზეთი „ხუნტრუცისა“. ხელმძღვანელობენ გამოცემას ადგილობრივი ქალიშვილები. პირველ ნომერში პორნოგრაფია სჭარბობს.

ჭაგანელი ბზიკი.

აბაშა. ადგილობრივმა სანიტარულ კომისიამ დაბის შუათანა ადგილას აღმოაჩინა საუკეთესო სამკურნალო ტალახი (ლაფი), რომელიც ამავე კომისიათა თაოსნობით მოწვეულ პროფესორების გამოკვლევებით, საუცხოვოდ არჩენს ქარებსა და მალიარიას. მაგრამ, რაკი აბაშელთათვის თავიანთ ჯანმრთელობაზე უკეთ ღორების მოშენებაა საინტერესო, ამისათვის დაადგინეს, რომ ღორების ბანაობას ხელი არ შეუშალონ.

იქიდანვე. პ.-ცემულ თედო ჟორდანიას ჩვენში ღირსეული მემკვიდრე აღმოაჩნდა: ეს — გახლავთ მიხელ დავითაია და ისიც მასწავლებელი!..

ეს „მართლ მორწმუნე“ ხოხავს სოფლიდან სოფლად და ავრცელებს აზრსა თედორისასა, ვითარცა ერთგული მოწაფე მისი. სოფელ ონტოფოს საკრედიტოს გლეხთა კრებაზე, დაისვა კითხვა ტირილში ქალების მოსპობაზე. კითხვა ესე არ ეჭაშნიკა ძველი იდეით აღჭურვილსა მწირსა, დავითაიასა, და აღაპყრო ხელი თვისი და წარმოთქვა სიტყვა თვისი: „ჩვენში უნდა გამტკიცდეს ძველი ზნეჩვეულებები—მარჩიელები, ღამისთევები დღეობები, ტირილი, ქორწილი, ლამის გადავარდეს, ერი განსაცდელშია, იმ პირთა მეოხებით, რომელთა მიზანია მავნე ზნე ჩვეულებებთან ბრძოლა. ხომ დარჩა გასათხოვარი ქალები უქმროთ; დღემდე დღეობაში და ღამისთევაში ნახულობდენ .. საქმრო საცოლოები ერთი მეორეს. ეხლა კი... ხალხი განადგურდა და საჭიროა მისი ისევ მოშენება და დავიცვათ ყოველი ძველი ჩვეულებები ხელუხლებლათ“.

იქიდანვე. ამ ბოლო ხანებში სამეგრელოში ძალიან გახშირდა ხერხემლისა და კუჭის ავათმყოფობა. როგორც ექიმები ამტკიცებენ პირველი გამოიწვია, ბ. ქავთარაძისაგან მოტანილი დამპალი სიმინდის გადარჩევამ, და მეორე ამავე დამპალი სიმინდით გამოკვებამ.

—**ხანი.**



წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

ერთხელ, გურიაში განთქმული ხუმარა გოგია ჯღენტი თურმე ცხენს ეძებდა ბევრი იარა, ძლიერ დაიღალა და მოშივდა კიდევაც.

იქვე ახლოს შენიშნა შუშის მჭრელი მუშები. ჩრდილოში ისხდენ და სადილს შეექცეოდენ. გოგია ჯღენტი მიუახლოვდა და გასძახა:

— იქნება საჭმელი გრჩებათ ცოტა, რომ დაგეპატიჟოთო.

გოგიას უპასუხეს.

— რა გვარი კაცი ხარ შენაო.

— აბა რა ვიცი რაგვარ კაცს აჭმევთ თქვენ სადილსო მიუგო ჯღენტმა.

მოვიყვანე ეს მაგალითი იმიტომ, რომ მინდა გავიგო: რა მიმართულების კაცს უბეჭდავთ თქვენ წერილებს. ეს მეორეთ გიგზავნი შენიშვნას და არა ბეჭდავთ, ხოლო მისი დაბეჭდვა კი ძლიერ სასარგებლო იქნებოდა ზომლეთელი მასწავლებლისათვის.

ქაიხოსრო.

—

ბ. ნო ქაიხოსრო! სიამოვნებით წავიკითხეთ თქვენი წერილი რედ. მიმართ. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ გვარს სრულიად არა **ვკითხულობთ**. სამაგიეროთ არ **ვკითხულობთ** არც ზოგიერთ განცხადებებს.

აი თუ გსურთ გვარის უკითხავათ დავბეჭდოთ, მოგვაწოდეთ ასეთი სახუმარო ამბები, როგორიც მოყვანილია ამ თქვენს წერილში. გურიაში ბევრი იყო გონება მახვილი კაცი და მრავლათ არის დარჩენილი მათი მოსწრებული სიტყვა-პასუხები.

რაიცა შეეხება თქვენი სოფლის სასწავლებელს, თუ იგი ძლიერ შეეჩვია ბანქო—ნარდის თამაშს, თქვენი განცხადება ვერაფერს უშველის.

ეშმაკი.

ფოსტა

კოდარას. არ დაიბეჭდება.

შემთხვევით დამსწრეს. არ დაიბეჭდება.

ზაპასნოი სალდათს. არ დაიბეჭდება. სამტრედიელ ჯიბგირებს სასჯელათ ისიც ეყოფათ, რომ ჩქარა ჯიბეში არავის არაფერი ექნება.

ლელისპირელს. არ დაიბეჭდება. გაიგო თქვენი წერილისა. იწერებით: „მღვდლობრივი სალმრთო სჯული დედათა მონასტრის - კარტის თამაშით ქალებსაო". ქვევით — „ჩირგვიზმი და კოტრიალიზმი ბარათა". კიდევ ქვემოთ იწერებით: „უყუილია ხალხური ლექსი: ჩაუხდეთ, ჩაუჭდეთ ბარათაშვილსა", რადგან თითონ ბარათაშვილი ჩაუხდა სხვებსაო". ერთი სიტყვით ვერაფერი გავიგეთ.

ხორგელს. „გაზაფხულდა, გაზაფხულდა"-ო იწერებით და ვერ გაგვიგია რომელ გაზაფხულზე ამბობთ.

კოდარას. „სამგზავროთ მოვემზადები
ჩემი გუდა და სტვირითა,
თორემ მეყოფა მესტვირეს
რაც დრო ვატარე ძილითა".

ამ სიცხეში მგზავრობა გაწყენთ. იძინეთ ცოტა კიდევ.

ქარიშხალს. წერილს განმარტება სჭირია: ვისზე, ან რისთვის იწერება.

ბუზს თქვენს მეტი ვერავინ გაიგებს.

ჭაბუკს. „ზარმაცებს" სისუსტე ეტყობა არ დაიბეჭდება.

მღვიმელ ნიორს. თვით ეშმაკმაც ვერაფერი

დასავლეთ საქართველოს
მევენახეთა საზოგადოება
„ალექსანდროული"
5 ივლისიდან დაიწყო
ღვინით ვაჭრობა
რაჭა-ლეჩხუმის (ყიფიანის), სვირის, ქართლის და სხვა ღვინოები. **ოლგას ქუჩა. სახლი № 8.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქ თფილისში

გამოდის ეოველ-კვირეული იუმორისტული გამოცემა

ეშმაკის მათრახი

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ ეშმაკი და თაგუნა, ხოლო გამოცემის საქმეს ა. გ. ბუკია.

ჟურნალის ფასი 12 თვით 5 მ. ✦ 6 თვით 3 მ. ✦ 3 თვით 1 მ. 50 კ. ✦ 1 თვით 50 კ.

„ეშმაკის მათრახში“ დაიბეჭდება მ ხ ო ლ ო დ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ხლეპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვეთები და სხვა.

✦ ჟურნალში დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილიუსტრაციები.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს, მასალები გამოგზავნონ ამ ადრესით:

Тифлисъ *)

С. Р. Тавартциладзе.
Олгинская 6,
Почтов. ящ. № 96.

(ეშმაკის მათრახისათვის)

*) ეს ადგილი კონვერტზე მარკისათვის არის დანიშნული და გულმავიწყებს მოვაგონებთ, რომ ✦ უმარკო წერილებს რედაქცია არ დაიხსნის ✦

ნებადართულია სამხ. ცენზორ. სტამბა ამხ. „შრომა“. რედაქტორ-გამომც. თ. ბოლქვაძე